სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა ჩოხატაურის ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი და 25-ე მუხლში შეიტანა გარკვეული რედაქტირება.

მუხლი 25. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ბენეფიციართა ფულადი დახმარება

1.1 მსხვერპლმა/ბენეფიციარმა დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოდაგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დოკუმენტი ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და სასამართლოდან.

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

1.2 ბენეფიციარის განცხადებას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში არსებული სამუშაო ჯგუფი და სათანადო დასკვნით განისაზღვრება დახმარების ზუსტი ოდენობა.

1.3 თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1500 ლარამდე.

2. ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის თანადაფინასება

2.1.ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;
ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;
გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;
დ)პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3. ძალადობის წინააღდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.20121-10.12.2021 წწ) ძალადობის აღმოფხვრის ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება.

3.1. ძალადობის წინააღდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.2021-10.12.2021 წწ) ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობისთვის პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ უნდა იქნას:

ა) წერილობითი მოთხოვნა დაფინანსებაზე/თანადაფინანსებაზე;
ბ) პროექტში მონაწილე პირთა რაოდენობა და დაგეგმილი ღონისძიების პროექტი.
4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება.
4.1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების /თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ უნდა იქნას:
ა) წერილობითი მოთხოვნა დაფინანსებაზე/თანადაფინანსებაზე;
ბ) პროექტი, რომლის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას ითხოვს განმცხადებელი.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.